



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა



ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ბიომასის ენერჯია და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, როგორც მდგრადი ენერგეტიკული გადაწყვეტილებები მერების შეთანხმების ხელმომწერი ქალაქებისთვის“ ფარგლებში ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო, ატარებს ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციას მდგრადი ენერგეტიკის საკითხებზე.

კონფერენცია ტარდება ევროკომისიის ენერგეტიკის დირექტორატის მიერ გამოცხადებული „ევროპული მდგრადი ენერგეტიკის კვირეული, 2021“-ის ფარგლებში.

კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში აკრედიტირებული ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ყველა იმ სტუდენტს (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის), რომელიც დაინტერესებულია მდგრადი ენერგეტიკის საინჟინრო, პოლიტიკური თუ სოციალური საკითხებით.

კონფერენციაზე წარმოდგენილი თემა უნდა განიხილავდეს საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტურობას, ენერგოეფექტურობას მრეწველობაში; განახლებად ენერჯო ტექნოლოგიებს (მზე, ქარი, გეოთერმია, ბიომასა, ნარჩენები) და მათ გამოყენებას, ეკოლოგიურად სუფთა ანდა ენერგოეფექტურ ტრანსპორტს, ენერგეტიკას, როგორც კლიმატის ცვლილების შერბილების ინსტრუმენტს და ა.შ.

„მდგრადი ენერგეტიკის“ კონფერენციის ჩატარება დაგეგმილია **2021 წლის 29 ოქტომბერს** ფორმატში (ონლაინ კონფერენციის დაწყების დროს გაცნობებთ მოგვიანებით ღონისძიების ბმულთან ერთად ელ-ფოსტის მისამართებზე.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა ნაშრომი და პრეზენტაცია Power-Point-ში უნდა გამოაგზავნონ **ა.წ. 26 ოქტომბრამდე** ელ. ფოსტით შემდეგ მისამართებზე: eecgeo@eecgeo.org; e_gvil@eecgeo.org; სათაურის ველში "Subject" მიუთითეთ დასახელება - ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია - ნაშრომი/პრეზენტაცია.



ნაშრომის გაფორმების და წარდგენის წესი:

ნაშრომი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ✦ **სათაური, პრობლემის აღწერა, პრობლემის გადაჭრის შეთავაზება, მთავარი შედეგები, დასკვნები;**
- ✦ ავტორის ანდა ავტორთა ჯგუფის გვარები და სახელები; მათი საკონტაქტო ინფორმაცია (ელ. ფოსტა, მობ. ტელეფონი);
- ✦ ნაშრომის ავტორთა სასწავლო დაწესებულება (უნივერსიტეტი, დეპარტამენტი), დაწესებულების (დეპარტამენტის) ხელმძღვანელი, სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი (სამეცნიერო და აკადემიური ხარისხი);
- ✦ ნაშრომის წარმოდგენა უნდა მოხდეს ელექტრონულად Word-ის ფაილით, ფორმატი A4, შრიფტი: Sylfaen, ზომა 12, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: e_gvil@eecgeo.org; ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 გვერდს.

კონფერენციაზე მოწვეულმა სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ:

- ✦ პრეზენტაცია PowerPoint-ში ონლაინ მოხსენებისთვის;
- ✦ რეგლამენტი: ონლაინ მოხსენების ხანგრძლივობა 15 წუთი კითხვა-პასუხის დროის ჩათვლით.
- ✦ კონფერენციის სამუშაო ენა: ქართული;

კონფერენციის ყველა მონაწილე მიიღებს ევროპის მდგრადი ენერგეტიკის კვირეულში მონაწილის სერთიფიკატს, ხოლო საუკეთესო ნაშრომის/პრეზენტაციის ავტორ(ებ)ი დაჯილდოვდებიან პრიზებით;

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

საკონტაქტო პირი: ელენე გვილავა

ტელ. (+995) 599 287189; (+995 32) 224 25 40; 224 25 41; ფაქსი. (+995 32) 224 25 42;

ელექტრონული ფოსტა: e_gvil@eecgeo.org; მისამართი: თბილისი, 0160; დ. გამრეკელის ქ. #19; VI სართული; „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“

ინიციატივა „EU4Energy“ მოიცავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში ევროკავშირის მხარდაჭერას ენერგომიწოდების, ენერგოუსაფრთხოების და ურთიერთკავშირების გაუმჯობესებისთვის და ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერჯის წყაროების დანერგვისათვის. ამ მიზნით პროგრამა აფინანსებს იმ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ენერგეტიკული ბაზრების რეფორმირებას, ქვეყნის ენერგოდამიკიდებულების და ენერჯის მოხმარების შემცირებას. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს გახდის ენერჯის მიწოდებას უფრო საიმედოს, გამჭვირვალეს და ხელმისაწვდომს, რითაც შეამცირებს ენერგეტიკულ სიღარიბეს და ენერგოგადასახადებს, როგორც მოქალაქეებისათვის, ასევე კერძო სექტორისათვის. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.EU4Energy.eu